

**ნარკოტიკების
მოსმარება,
კანსუნისმგებლობა
და უფლებები**



Investing in our future

The Global Fund

To Fight AIDS, Tuberculosis and Malaria

G H *ა* N

ზიანის მკლავების სანაბრებლად ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

ნარკოტიკების
მონემარება,
კანსუსისმგებლობა
და უფლებები

აივ/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე და სი-
ფილისზე ნებაყოფლობითი კონსულტირება-ტე-
სტირებისთვის და სამედიცინო კონსულტაციები-
სთვის შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს ცენტრებს
(ჩვენი სერვისები უფასო და ანონიმურია)



ეს ბროშურა ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას და მიზნად ისახავს, გაგარკვიოს საკუთარ უფლებებში – საკუთარი პასუხისმგებლობისა და უფლებების ცოდნა აუცილებელი და სასარგებლოა. არის შემთხვევები, როცა სამართალდამცავები თავიანთ უფლებამოსილებას აჭარბებენ და და-

კავებულის/ბრალდებულის უფლებებს არღვევენ. თუ შეძლებ, შენიშნო, სად და როგორ იქნა ისინი დარღვეული, თავის დაცვა გაგიადვილდება.




ნამალდამოკიდებულება მძიმე ქრონიკული დაავადებაა, დამოკიდებულების მქონე ადამიანი კი – ავადმყოფი.

მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში ნარკოტიკების მოხმარება საზოგადოებრივად მიუღებელ ქცევად ითვლება. თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობით დასჯადია ნარკოტიკული ნივთიერების ფლობის, შენახვის, გადატანის ფაქტი. ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონებით სასჯელი გათვალისწინებულია მაშინაც, როცა პიროვნება აღმოჩნდება ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. ამ შემთხვევაში კანონი არ ით-

ვალისწინებს, რომ ნარკომანი ავადმყოფია და იგი იძულებულია, მიიღოს ნარკოტიკი – კანონმდებლობისთვის ამოსავალი წერტილი არის მომხმარებლის მიერ კანონის იმ მუხლის დარღვევა, რომელიც კრძალავს სამედიცინო დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შექენას, შენახვას, გადატანას და სხვა.

რატომ არის საჭირო, იცოდე შენი უფლებები

ნარკოტიკების მოხმარების გამო ადამიანს, სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, მუდმივი კონფლიქტი აქვს კანონთან და სამართალდამცავებთან.



პრობლემების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა, არასოდეს იხმარო ნარკოტიკი ან შეწყვი-

ტო მისი მოხმარება.

თუ ამ ეტაპზე ამის გაკეთება არ შეგიძლია, მაშინ გახსოვდეს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შენ, როგორც მოქალაქეს, განსაზღვრულ პასუხისმგებლობას გაკისრებს ნარკოტიკების მოხმარების გამო და, ამავე დროს, განიჭებს გარკვეულ უფლებებსაც.

საქართველოს კანონმდებლობით დასჯად ქმედებას წარმოადგენს:

მუხლი 45 – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ან/და ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით

ან გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩაითვლება, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

- ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (სსკ 260)
- ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება (სსკ 265)
- ნარკოტიკული საშუალების წარმოებისთვის ფარული ლაბორატორიის მონყობა ან შენახვა (სსკ 266)
- ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (სსკ 264)

- ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება (სსკ 272)
- ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისთვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა (სსკ 271)

სატრანსპორტო საშუალების მართვა

ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით (აღმ.სამარ.კ 116-ე მუხლი)

სატრანსპორტო საშუალების მართვისას ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად **შემონმებისთვის თავის არიდება** გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით (აღმ.სამარ.კ 117-ე მუხლი)

უფლებების შეზღუდვა

«ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის თანახმად, ნარკოტიკების მომხმარებლებს ეზღუდებათ გარკვეული უფლებები 3 წლის ვადით:

მათ შორის:

- ავტომანქანის მართვის უფლება
- იარაღის შეძენა/შენახვისა და ტარების უფლება
- საექიმო საქმიანობის უფლება
- საადვოკატო საქმიანობა
- პედაგოგიური საქმიანობა
- საჯარო სამსახურში მუშაობა

მუხლი 274 – სისხლის სამართლის კოდექსი.

ნარკომანის მიერ სპეციალურ სამკურნალო – პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იძულებით მკურნალობისათვის ჯიუტად თავის არიდება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 40 – ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონი

ნარკომანიით დაავადებულ პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით მკურნალობის შემთხვევაში დადგენილი წესით შეინარჩუნოს ანონიმურობა და ჩაიტაროს მკურნალობის სრული კურსი (საკუთარი სახსრებით, სიცოცხლეში ერთხელ კი – სახელმწიფოს ხარჯზე).

გაითვალისწინე!

პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, რომელიც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან შეინახა გასაღების მიზნის გარეშე, აგრეთვე, რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დანესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება ადმინისტრაციული

პასუხისმგებლობისაგან ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის.

მუხლი 273 – სისხლის სამართლის კოდექსი

პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისთვის ნასამართლევნი პირის მიერ – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე, ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

არაკანონიერ ბრუნვაში ან მფლობელობაში აღმოჩენილი ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცი-

რე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების
ნუსხსა.

მცენარეების, ნივთიერებებისა და პრეპარატების დასახელება	ოდენობები (გრამებში)		
	მცირე	დიდი	განსაკუთრებით დიდი
ამფეტამინი	-	1	1
ბუპრენორფინი (ნორფინი)	0,0012	0,012	0,12
კანაფი (მცენარე)	10	50	250
კოდეინი (ფუბე და მარილი)	0,2	2	20
კოკაინი (ფუბე და მარილი)	0,06	0,6	6
ლიზერგინის მფავა LSD	-	0,0002	0,0002
მარიპუანა გამომშრალი ნედლი	5 10	50 100	500 1000
მდმა (ექსტაზი)	-	1	1
მორფინი (ფუბე და მარილები)	0,04	0,4	4
მეთადონი (ფუბე და მარილები)	0,2	1	1
ოპიუმი ექსტრაქციული	0,1	1	10
ოპიუმი სამედიცინო	0,2	2	20
ოპიუმის ექსტრაქტი	0,1	1	10
ოპიუმის ნაყენი	0,3	3	30
ტრამადოლი	1	80	800
ჰეროინი	0,2	1	1
ყვამოს ნამუჯა	5	50	500

დაკავება



სისხლის სამართლის წესით დაკავება

მუხლი 171 – სისხლის-სამართლის საპროცესო კოდექსი

სისხლის სამართლის წესით დაკავების ძირი-

თადი საფუძველი შეიძლება გახდეს შემდეგი:

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა. თუ პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში;

- თუ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- თუ წაასწრეს დანაშაულის ჩადენის ადგილას ან ჩადენისთანავე;
- თუ თვითმხილველები მიუთითებენ მასზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;
- თუ მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება დანაშაულის აშკარა კვალი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ცვლილებებიდან გამომდინარე სამართალდამცავებს უფლება აღარ აქვთ, დაგაკავონ:

- ე.წ. „სხვა მონაცემების“ საფუძველზე;

- მხოლოდ იმის გამო, რომ არ არის დადგენილი შენი ვინაობა;
- მხოლოდ იმის გამო, რომ მას არ გაქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 146 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სისხლის სამართლის წესით დაკავების შემთხვევაში პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში მიყვანის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შედგეს დაკავების ოქმი.

მაშინვე უნდა შედგეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან შეწყვეტის შესახებ, რომლის ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება პროკურორს დასამტკიცებლად.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან დაკავების შესახებ დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა გამოეცხადოს ხელწერილით ეჭვმიტანილს და განემარტოს მისი უფლებები.

დაკავების ვადა დაკავების მომენტიდან ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

ადმინისტრაციული დაკავება

მუხლი 247 – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

დაკავების მიზეზების განმარტება ძირითადად პოლიციის განყოფილებაში ხდება. როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლებლივი დაკავებისას სამართალდამცავები ოქმს ადგენენ.

ოქმში უნდა აღინიშნოს: როდის, რა ვითარებაში, კანონში აღნიშნულ რა საფუძვლებზე ხარ დაკავებული, რომელ საათზე მიგიყვანეს მოკვლევის ორგანოში. ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ ოქმის შემდგენი, თანამდებობის პირი ან მოქალაქე, რომელმაც დაგაკავა, და შენ.

ადმინისტრაციული დაკავების ვადა სამ საათს არ უნდა აღემატებოდეს. დაკავების დრო აითვლება განყოფილებაში შენი მიყვანის მომენტიდან, ხოლო თუ ნარკოტიკული ნივთიერების ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ხარ – გამოფხიზლების მომენტიდან.

როგორც კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა დაფიქსირდება, დადგენილი იქნება პირადობა და დადებული იქნება ადმინისტრაციული სახდელი, შეგიძლია მოითხოვო ადმინისტრაციული დაკავების შეწყვეტა, რამდენადაც დაკავების საფუძველი აღარ არსებობს.

რა უნდა ვიცოდეთ! დაკავების ვადები:

- დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს
- დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა



დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს

- დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა პროკურორი მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე

- აღკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა და პატიმრობა

საპროცესო შეთანხმება

- საპროცესო შეთანხმების საფუძველი – შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე
- ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებული აღიარებს დანაშაულს
- სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა თანახმაა შეთავაზებულ სასჯელზე
- საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ

ბრალდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე.

სასამართლოს განაჩენი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც:

- საპროცესო შეთანხმება მოტყუებით დაიდო
- ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება

- საპროცესო შეთანხმება იძულებით, ძალდობით მუქარით ან დაშინებით დაიდო. თუ მსჯავრდებული არღვევს საპროცესო შეთანხმების პირობას, პროკურორი უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს საპროცესო შეთანხმების გაუქმების შესახებ შუამდგომლობით.

გასაჩივრების ვადები

- პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება სააპელაციო წესით უნდა მოხდეს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში
- საკასაციო საჩივარი შეიტანება სააპელაციო განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში

ექსპერტიზა

რა უნდა ვიცოდეთ!

- ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დადგენა ხდება ლაბორატორიული

(ტესტირების) ან/და კლინიკური გამოკვლევის (ტესტირების) გზით;

- პირი ვალდებულია, დაემორჩილოს პოლიციელის და უფლებამოსილი პირის კანონიერ მოთხოვნას ტესტირების ჩატარების შესახებ;
- სამართალდამრღვევს უფლება აქვს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ან/და გამოკვლევიდან 2 საათის განმავლობაში საკუთარი ხარჯით მოითხოვოს კლინიკური გამოკვლევის განმეორებით ჩატარება.

ექსპერტის დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, თანამდებობა), ექსპერტის გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატ-

არების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, სისხლის სამართლის საქმის რა მასალები გამოიყენა ექსპერტმა, რა ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები ან სხვა ობიექტები გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩაატარა, რა მეთოდები გამოიყენა.

ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები, ფოტოსურათები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებენ ექსპერტის დასკვნას.

დაიცავი შენი უფლებები

მუხლი 73 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

შენ უფლება გაქვს:

- მიიღო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ასლი და დაკავების შესახებ დადგენილების ასლი,

რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შენი დაკავების საფუძველი;

- გაარკვიო შენი დაკავების საფუძველი;
- მისცე ან არ მისცე ჩვენება (შენ გაქვს უფლება, მისცე ჩვენება, მაგრამ ვალდებული არა ხარ);
- ისარგებლო დუმილის უფლებით;
- დაკავებისთანავე ისარგებლო დამცველის მომსახურებით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე (მასთან შეთანხმებით);
- ეჭვიმიტანილად ცნობის შემდეგ მოითხოვო უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა შენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს;
- გააკეთო განაცხადი შუამდგომლობებზე და აცილებებზე; წარმოადგინო მტკიცებულებანი;

- მონაწილეობა მიიღო სასამართლო განხილვაში
- დააყენო შუამდგომლობა
- განაცხადო აცილება
- გაასაჩივრო ბრალდების მხარის ან სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები
- ისარგებლო თარჯიმნის მომსახურებით

ჩხრეკა

მუხლი 293 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

პოლიციელები პირად ჩხრეკას ახორციელებენ როგორც პოლიციის განყოფილებაში, ასევე დაკავებისა იმ შემთხვევაში, თუ არის საფუძველი, რომ პირი მალავს დანაშაულის საგანს ან რაიმე დოკუმენტს, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს საქმესთან.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, განმარტოს შენი უფლებები და ვალდებულებები.

- ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლები ვალდებული არიან, წარმოგიდგინონ მოსამართლის ბრძანება;
- შეეცადე ყურადღებით წაიკითხო ბრძანება.
- მასში აღნიშნული უნდა იყოს შედგენის თარიღი, ადგილი, მოსამართლის გვარი, აგრეთვე თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა, შუამდგომლობის არსი და ვისზე ვრცელდება იგი; თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება, მოსამართლის ხელმოწერა დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით.

მუხლი 290 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

- ამოღება ან ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც კანონით გათვალისწინებულ გადაუდებელ შემთხვევაში, მაგრამ პროკურორმა ამის შესახებ უნდა აცნობოს მოსამართლეს, რომელსაც 24 საათის განმავლობაში გამოაქვს დადგენილება საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 326 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

- ამოღების ან ჩხრეკის შემდეგ უნდა შედგეს ოქმი, რომელშიც აღინიშნება: რა ადგილას, რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი ან დოკუმენტი, ნებაყოფლობითაა ის გადაცემული თუ იძულებით არის ჩამორთმეული.
- ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ ამოღე-

- ბის ან ჩხრეკის ყველა მონაწილე და შენ;
- ოქმის ასლი ხელმოწერით შენც უნდა გამოგცენ (სსსკ. მუხლი 327)

თუ აღმოჩნდი დაკავების საშიშროების წინაშე და სიტუაცია გაძლევს საშუალებას, დაუყოვნებლივ ნებაყოფლობით ჩააბარე ნარკოტიკული ნივთიერება პოლიციას დამსწრეებთან ერთად! ეს ქმედება გათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სხვა დანაშაული არ გაქვს ჩადენილი.

მუხლი 321 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ჩხრეკისას

- მოითხოვე დამსწრეთა მონაწილეობა, ან თვითონ მოიწვიე ისინი;
- შეეცადე, არავის ჩააყოფინო ჯიბეში ხელი;
- თუ მოხდა ნარკოტიკული ნივთიერების

ჩადება და შენ შემთხვევით აღმოაჩენ მას ჯიბეში, შეეცადე იმოქმედო სწრაფად და მოინვიე დამსწრეები. შეგიძლია მოუხმო ქუჩაში გამვლელებს და მათი თანდასწრებით შენ თვითონ, ნებაყოფლობით ჩააბარე ნარკოტიკული ნივთიერება;

- შენ თვითონ ამოიბრუნე ჯიბეები და დამსწრეების დასანახად ამოალაგე ყველა ნივთი, რაც გაქვს;
- დაადგინე დამსწრეთა ვინაობა და ჩაინერე მათი მისამართები;
- თუ გაქვს საფუძველი ივარაუდო, რომ დამსწრე გაახმაურებს შენი პირადი ცხოვრების ან თავად ჩხრეკის ფაქტებს, უფლება გაქვს, აცილება მისცე დამსწრეს.

დამსწრეები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- არ უნდა იყვნენ ორზე ნაკლები.
- არ უნდა იყვნენ დაინტერესებული საქმეში.

- არ შეიძლება იყვნენ პოლიციის თანამშრომლები.

მუხლი 325 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

- ჩხრეკა ყოველთვის უნდა ტარდებოდეს დამსწრეების თანდასწრებით;
- პირადი ჩხრეკა, რასაც თან სდევს გაშიშვლება, უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამდებობის პირმა იმავე სქესის დამსწრეთა მონაწილეობით.

მუხლი 323 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან მიიღონ ზომები, რათა არ გახმაურდეს ამოღების ან ჩხრეკის, აგრეთვე ამ საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოვლენილი პირადი ცხოვრების გარემოებანი.

მუხლი 324 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას დაირღვა კანონით დადგენილი წესი, ამოღებული საგანი ან დოკუმენტი არ იძენს ან კარგავს მტკიცებულების მნიშვნელობას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრალდებისა და გამამტყუნებელი განაჩენის დასასაბუთებლად.

თუ პირადი ჩხრეკისას პოლიციელები არ დაიცავენ ჩამოთვლილი ნორმებიდან რომელიმეს, იცოდე, რომ შენი უფლებები არის დარღვეული. ამ შემთხვევაში აუცილებლად მოითხოვე ადვოკატი.

დაკითხვა

მუხლი 310 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

დაკითხვაზე გამოძახების შემთხვევაში:

- დაუყოვნებლივ დაადგინე საქმის მწარმოებელი პირის სახელი, გვარი თანამდებობა.

შემდგომ, თუ შენი უფლებები იქნება დარღვეული, გექნება სათანადო ინფორმაცია დაცვისათვის;

- დაადგინე – პირს, რომელმაც შენ გამოგიძახა, აქვს თუ არა უფლება, ანარმოს დაკითხვა;
- შეეცადე, დაუყოვნებლივ აცნობო შენს ახლობლებს, ნათესავებს, რაც შეიძლება მალე დაუკავშირდი ადვოკატს;
- ეჭვმიტანილად ცნობის შემდეგ დაკითხვა უნდა ჩატარდეს პოლიციის დანესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში შენი მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

მუხლი 302 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

დაკითხვა 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. დაშვებულია დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაკითხვა, არა ნაკლებ ერთსაათიანი პაუზებით (დასასვენებლად). ამასთან და-

კითხვის საერთო ხანგრძლივობა დღის განმავლობაში 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

გამოიყენე დუმლის უფლება – შენი დუმილი ნიშნავს, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობ.

ფიზიკური ზემოქმედება

თუ დაკავებისას ადგილი აქვს ფიზიკურ ზემოქმედებას, შეეცადე:

- არ შეენინააღმდეგო, შეიძლება ამან სიტუაცია უფრო გაამწვავოს;
- შეეცადე, სხვების ყურადღება მიიპყრო ხმამალალი ყვირილით და შეძახილებით, რომ შენ ქცემენ;
- შეეცადე, დაიმახსოვრო სახელი და გვარი თანამდებობის იმ პირების, რომლებიც შენზე ახდენენ ფიზიკურ ზემოქმედებას;
- იმ შემთხვევაში, თუ მოგანერინეს ხელი, ცემის შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ

მოითხოვე სამედიცინო დახმარება ან ექსპერტიზა, რათა დაფიქსირდეს ცემის ფაქტი;

- როგორც კი წარმოგიდგენენ დამცველს, დაუყოვნებლივ აცნობე, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენეს და დაუსახელებელ პიროვნებას, რომელმაც დაკავებამდე გნახა.

ადვოკატი

- მიანდე შენი პრობლემა პროფესიონალს ამ სფეროში – ადვოკატს;
- ყოველთვის თან გქონდეს შენი ადვოკატის ან ადვოკატთა ორგანიზაციების ტელეფონის ნომერი;
- სასურველია საკუთარი (ან ნაცნობი) ადვოკატის მონვევა, რომელსაც ენდობი;
- შეეცადე, წყნარად და მშვიდად აუხსნა გამომძიებელს, რომ არ მისცემ არავითარ

ჩვენებს მანამ, სანამ არ წარმოგიდგენენ
შენს მიერ არჩეულ ადვოკატს;

- თუ ადვოკატი წარდგენილია თვით
გამოძიების მიერ, გაითვალისწინე, რომ
შესაძლებელია მან არ დაიცვას შენი ინ-
ტერესები;

მუხლი 78 – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

შეგიძლია საერთოდ უარი თქვა ადვოკატზე
და დაცვა განახორციელო დამოუკიდებლად.

ბახსოვდეს!

**დაკავებულის ფიზიკური შეურაცყოფა სამარ-
თალდამცავი ორგანოების მხრიდან, არის სისხლის
სამართლის დანაშაული!**

მნიშვნელოვანი რჩევები:

- დაკავებისას ნაკლები ილაპარაკე. ყველგან წერე: „მოვითხოვ ადვოკატს!“
- მოითხოვე დაკავების ოქმის შედგენა.
- შენი უფლებები ძალაშია მანამ, სანამ ისინი გახსოვს და ახსენებ შენს დამკავებელს.
- შენი უმთავრესი ამოცანაა, შეხვდე სანდრო ადვოკატს და გამომძიებელს მისცე იურიდიულად გამართული ჩვენება.
- საჭიროების შემთხვევაში მიმართე შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უფასო იურიდიულ კონსულტაციას ან საადვოკატო მომსახურებას გაგიწევენ.



თბილისი: „ახალი გზა“ – ვაჟა-ფშაველას გამზ. №6, ბ 59;

ტელ: 2 91 17 01; 2 37 13 60;

თბილისი: „ახალი ვექტორი“, დოესის ქ. №16; ტელ: 2 77 37 90;

ბორი: „ნაბიჯი მომავლისკენ“ – ბესიკის ქ. №3/6;

ტელ: 0370 27 01 72;

ზუგდიდი: „ქსენონი“, პ. უბერის ქ. №1; ტელ: 0415 25 40 10;

ბათუმი: „იმედი“, გორგილადის ქ. №66; ტელ: 0422 27 18 91;

თელავი: „ნაბიჯი მომავლისკენ“, ნინოშვილის ქ. №39;

ტელ. 0350 23 24 87;

ქუთაისი: „ახალი გზა“, სალარაძის ქ. №4; ტელ. 0431 24 65 24;

სამტრედი: „ახალი გზა“, თამარ მეფის ქ. №5; ტელ. 0411 22 90 45;

ფოთი: „ორდუ“, ბ. კოკაიას ქ. №39; ტელ. 0493 25 09 69;

0493 27 23 63.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი ვებ-გვერდი: www.hrn.ge



